

# ეკონომიკის საფუძვლები



## ლექცია 2

შემცვლელი ჩვენს გარშემო: მოთხოვნის ცნება

# შესავალი



- განვიხილოთ შემდეგი დებულებები:

1. სახანძრო უსაფრთხოებისათვის აუცილებელია, რომ ყველა საცხოვრებელს ჰქონდეს ორი გასასვლელი.
  2. ჩვენ გვესაჭიროება ახალი ავტომობილი.
  3. მიმდინარე ათწლეულში ჩვენს შტატს დამატებით დასჭირდება დიდი რაოდენობით წყალი.
  4. სატრანსპორტო ნაკადების შესწავლამ გამოავლინა ახალი ავტომაგისტრალის მშენებლობის აუცილებლობა.
  5. ყველა მოქალაქეს, მიუხედავად მისი გადახდისუნარიანობისა, უნდა შეეძლოს აუცილებელი სამედიცინო მომსახურების მიღება.
- ამ დებულებებს საერთო აქვთ “აუცილებლობის” ცნება
  - ერთი შეხედვით, სახანძრო უსაფრთხოება, წყალი, სწრაფი გადაადგილება, აუცილებელი სამედიცინო მომსახურება “კეთილდღეობას” წარმოადგენს
  - რატომ უნდა ვთქვათ უარი მათზე?!

## სამი მნიშვნელოვანი ფაქტი



- დოვლათის უმეტესობა უფასო, ან ულევია რაოდენობით არ არის და მათი შექმნა მოითხოვს სხვა დოვლათზე უარის თქმას
- ნებისმიერ დოვლათს გააჩნია შემცვლელები ანუ სუბსტიტუტები
- გონივრული არჩევანი გულისხმობს აღნიშნულ არჩევანთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების და დამატებითი სარგებლის შედარებას. შესაბამისად, ინდივიდი ირჩევს იმას რაც შესაძლებელიდან ყველაზე სასურველია, – რომელიც უზრუნველყოფს ყველაზე მეტ წმინდა სარგებელს

# დანახარჯები



- დავუბრუნდეთ ერთ–ერთ დებულებას და გავანალიზოთ ის:

ყველა მოქალაქეს, მიუხედავად მისი გადახდისუნარიანობისა, უნდა შეეძლოს აუცილებელი სამედიცინო მომსახურების მიღება.

- დებულების შინაარსი ჰუმანურად და ლიბერალურად გამოიყურება
- არის სამედიცინო მომსახურება დეფიციტური პროდუქტი?
- რა შეიძლება მოხდეს თუ აუცილებელი სამედიცინო მომსახურება ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება, ანუ დავაკმაყოფილებთ აუცილებლობის მოთხოვნას?
  - ფაქტია სამედიცინო მომსახურების ხარჯები უნდა შემცირდეს
  - გაფიქრდებათ რაიმე დანახარჯი, რომელიც შეიძლება გაიზარდოს აუცილებელი სამედიცინო მომსახურების გარანტირებით?

## აუცილებლობიდან მოთხოვნამდე



- აუცილებლობის ცნება უკომპრომისო მიდგომას გულისხმობს. თუმცა, დოვლათი შეზღუდულია, შეუძლებელია ყველა აუცილებლობის დაკმაყოფილება
- ეკონომისტები ამჯობინებენ გამოიყენონ მოთხოვნის ცნება
- მოთხოვნა ერთმანეთთან აკავშირებს საქონლისა და მომსახურების შესყიდულ რაოდენობას და იმ მსხვერპლს, რომლის გაღებაც აუცილებელია ამ რაოდენობის შესასყიდად, ანუ ფასი

მოინდომებთ ეკონომიკის პრინციპებში 5–იანის მიღებას, თუ მსხვერპლი რომელიც უნდა გაიღოთ ამ მიზნის მისაღწევად არის კვირაში 20 სთ–ის განმავლობაში მეცადინეობა? შეცვლით თქვენს დამოკიდებულებას, თუ 4–იანის მიღება შესაძლებელია კვირაში 4 სთ–ის განმავლობაში მეცადინეობით?

## ზღვრული ღირებულება



- რა უფრო მნიშვნელოვანია, წყალი თუ ბრილიანტები?
- რა უფრო მნიშვნელოვანია, ერთი ჭიქა წყალი თუ ერთი ჭიქა ბრილიანტები?
- ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისას მნიშვნელოვანია ზღვრული სიდიდეები
- ჩვენს შემთხვევაში, ზღვრული დანახარჯები და ზღვრული სარგებელი
  - დავუბრუნდეთ წინა მაგალითს, 4-იანი რომ მიიღოთ გჭირდებათ კვირაში 4 სთ-ის განმავლობაში მეცადინეობა, 5-იანი რომ მიიღოთ 20 სთ-ი. რა არის 5-იანის მიღების ზღვრული ხარჯი? გიღირთ ის ამ დამატებით ხარჯად?
- გადაწყვეტილებები ორიენტირებულია მომავალში შედეგის მიღებაზე, მომავალი კი განუსაზღვრელია. შესაბამისად, გადაწყვეტილებებს ვღებულობთ **მოსალოდნელი ზღვრული ხარჯების** და **მოსალოდნელი ზღვრული სარგებლის** შედარების საფუძველზე


# მოთხოვნა და მოთხოვნის კანონი



- როგორც ავლნიშნეთ, მოთხოვნა არის კავშირი ფასს და ამ ფასად შესყიდულ რაოდენობას შორის
- ეკონომიკურ თეორიაში იშვიათად შეხვდებით კანონებს
- ერთ–ერთი ასეთი არის მოთხოვნის კანონი

მოთხოვნის კანონი ადგენს, რომ არსებობს უარყოფითი კავშირი ადამიანების მიერ შეძენილი საქონლის რაოდენობას და იმ ფასს შორის, რომელიც მათ ამ საქონლის შესაძენად უნდა გაიღონ

# მოთხოვნის მრუდი





# მოთხოვნა და მოთხოვნის სიდიდე



- მოთხოვნა არის კავშირი ორ სიდიდეს შორის – ფასს და იმ რაოდენობას შორის, რომლის შექმნაც სურთ ადამიანებს ამ კონკრეტულ ფასად
- მოთხოვნა არ არის რაოდენობა, მოთხოვნა არის რაოდენობას და ფასს შორის შესაბამისობა. მოთხოვნის რაოდენობა კი გაზომვადი სიდიდეა  
– დაიმახსოვრეთ, მოთხოვნის კანონი ასახავს კავშირს **მოთხოვნის რაოდენობას და ფასს შორის**
- ვამბობთ, რომ მოთხოვნა არის ნუსხა

ერთი გალონის ფასი	გალონი დღეში	გალონი დღეში
0.07	40	15
0.04	60	25
0.02	140	55
0.01	240	100
0.005	400	200

# მოთხოვნა და მოთხოვნის რაოდენობა



- მოთხოვნის რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ფასის ცვლილების შემთხვევაში

- მოთხოვნის ცვლილებას კი იწვევს არა-ფასისმიერი ფაქტორები:

ცვლილებები მყიდველების რაოდენობაში



ცვლილებები მყიდველების გემოვნებაში

ცვლილება შემოსავლებში

ცვლილებები სუბსტიტუტების ფასებში

ცვლილებები შემავსებლების ფასებში

ცვლილებები მოსალოდნელ ფასებში



# დრო



- ფასის ცვლილებისას, მოთხოვნის რაოდენობაში ცვლილებას დრო ჭირდება.
- მაგალითად, ფასის გაზრდისას:
  - დრო ჭირდება, რომ მომხმარებლებმა იპოვნონ სუბსტიტუტები და დაიწყონ მათი ყიდვა
  - დრო ჭირდება, რომ მწარმოებლებმა დაიწყონ სუბსტიტუტების წარმოება და მათი პოპულარიზაცია

## მოთხოვნის საფასო ელასტიურობა



- მოთხოვნის საფასო ელასტიურობა ზომავს მომხმარებლების რეაქციას ფასის ცვლილებაზე
- მოთხოვნის საფასო ელასტიურობა გაიანგარიშება მოთხოვნის რაოდენობის პროცენტული ცვლილების შეფარდებით ფასის პროცენტულ ცვლილებასთან
- მოთხოვნის საფასო ელასტიურობა დამოკიდებულია:
  - დროზე
  - სუბსტიტუტებზე
  - მომხმარებლების ბიუჯეტში მოცემული საქონლის წილზე

## მაგალითი



- წარმოიდგინეთ, რომ ფასის 20% ცვლილება იწვევს, მოთხოვნის რაოდენობის 50% ცვლილებას, რა არის მოთხოვნის საფასო ელასტიურობა?

$$E_P = \frac{.5}{.2} = 2.5$$


- მოთხოვნის კანონის თანახმად ვიცით, რომ ფასს და მოთხოვნის რაოდენობას შორის ნეგატიური კავშირია. ხომ არ დაგვავიწყდა მინუსის ნიშანი?

# მოთხოვნის საფასო ელასტიურობა




- მოთხოვნა ელასტიური თუ:  
მოთხოვნის საფასო ელასტიურობა  $> 1$
- მოთხოვნა არაელასტიურია თუ:  
მოთხოვნის საფასო ელასტიურობა  $< 1$
- ერთეულოვანი ელასტიურობა  
მოთხოვნის საფასო ელასტიურობა  $= 1$

# მოთხოვნის საფასო ელასტიურობა




არაელასტიური მოთხოვნა

# მოთხოვნის საფასო ელასტიურობა






# ელასტიურობა და მთლიანი შემოსავლები



# ელასტიურობა და მთლიანი შემოსავლები



# ელასტიურობა და მთლიანი შემოსავლები



ელასტიური მოთხოვნა: ფასები და მთლიანი შემოსავლები იცვლებიან საპირისპირო მიმართულებით


არაელასტიური მოთხოვნა: ფასები და მთლიანი შემოსავლები იცვლებიან ერთი და იმავე მიმართულებით

შენიშვნა: როცა ვსაუბრობთ მთლიან შემოსავლებზე, მხედველობაში გვაქვს მწარმოებლების შემოსავლები

# ვერტიკალური მოთხოვნის მრუდის მითი



- არსებობს აბსოლუტურად არაელასტიური მოთხოვნა?



ვერტიკალური მოთხოვნის მაგალითად ხშირად მოყავთ ინსულინი. თუმცა, ინსულინის შემთხვევაშიც კი, ფასის შემცირების შემთხვევაში, ადამიანები შედარებით მეტ ინსულინს იყიდებიან. ე.ი. მოთხოვნის მრუდი დაღმავალია

# დავალება



თავი 3

ამოცანები: 2; 10; 11; 13; 14; 17; 18; 24; 26

სლაიდები და დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ ჩამოწეროთ შემდეგი ვებ-გვერდიდან:

[www.lashachochua.yolasite.com](http://www.lashachochua.yolasite.com)